

განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2014-2020) შესრულების ანალიზი

ანგარიშის მიზანს წარმოადგენს არსებული სამოქმედო გეგმის შესრულებისა და ეფექტურობის ანალიზი და ახალი სამოქმედო გეგმის მიზნების დასახვა.

გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა შემუშვდა 2014 წელს. ადმინისტრაციისთვის, აღნიშნული წლის უმთავეს სტრატეგიასადა მიზანს წარმოადგენდა აკადემიის საავტორიზაციო პირობების დაკმაყოფილება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროგრამების განხორციელება, რაც თავისთავად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

2014-2020 წლების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის მთავარი სტრატეგიული მიზნებად განსაზღვრული იყო:

- 1. ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების უზრუნველყოფა.*
- 2. აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული განათლების ბაზარზე.*
- 3. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება - პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობების, შემოქმედებითი, სოციალური, ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალის განვითარება-რეალიზების უზრუნველყოფა.*
- 4. აკადემიის მისიის შესრულებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა.*

ყოველწლიურად გრძელვადიანი სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით და მიმდინარე გამოწვევების გათვალისწინებით იქმნებოდა წლიური გეგმები, რომელთა შესრულების ანგარიში ასახულია ან ხარისხისა და მენეჯმენტის სხდომების ოქმებში ან უშუალოდ წლიურ ანგარიშებში.

გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის მიზანების შესრულებისთვის განსაზღვრული იყო 20 ამოცანა, რომლებიც აკადემიამ ფაქტობრივად შეასრულა.

I. სტარტეგიული მიზანი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე კვალიფიციური, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების უზრუნველყოფა					
შესრულების სტარტეგია	შესრულების ინდიკატორი	შესრულების ვადა/ვადები	შესრულებისა და ეფექტურობის აღწერა	შეურულებლობის მიზეზი	ეფექტურობის შეფასება და გაუმჯობესებისთვის რეკომენდაცია
1.1. თანამედროვე ტენდენციებისა და ინოვაციების დანერგვა საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესში	მედია-ტექნოლოგიებით სასწავლო კურსების/ლექციების შემუშავება	2014-2020	<ol style="list-style-type: none"> 1. საწავლო პროცესში ჩართული იყო ფრანგების ელექტრონული სასწავლო რესურსი. ასევე სასერტიფიკატო პროგრამებისთვის შესაბამისი ბრენდების ვიდეომასალები და ელექტრონული პრეზენტაციები. 2. მომზადდა სასწავლო რესურსი პრეზენტაციისა და ელ-სახელმძღვანლოს სახით: მანიკიური, წვერ-ულვაში, თავის დაბანა, შეჭრის თანამედროვე ტექნოლოგიები, კოლორისტიკა, კანის ანატომია, საპარიკმახერო საქმის ისტორია. 3. სასწავლო პროცესში აქტიურად იყო ჩართული ელ-პრეზენტაციის მომზადება (სასწავლო კურსები: კომუკაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, საპარიკმახერო საქმე, ფერმცოდნეობა) ასევე სასწავლო კურსს მიღმა აქტივობები - თემატური სემინარები და სხვა. 4. მოწვეული ტრენერის მიერ, აკადემიის ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალისთვის განხორციელტრენინგი - ინოვაციური სწავლების მეთოდები პროფესიულ განათლებაში (დატრენინგდა 9 პირი); 5. აკადემიის პერსონალი (ხარისხის მენეჯერი, სწავლების მენეჯერი) ჩართული იყო, დამსაქმებლებისა და გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს და ჩრდილოეთ გერმანიის სავაჭრო-სარეწველო პალატის პროექტში, რომელიც გულსხმობს გერმანული სწავლების მოდელების (ოთხეტაპიანი და ექსეტაპიანი სწავლება) დანერგვას. აკადემიის ხმ-ის მიერ პროექტის ფარგლებში შემუშავებული იყო სწავლების ეთოდოლოგია ქართული მხარისთვის, რომლის დანერგვა და განხორციელება დაგეგმილია მოდულურ პროგრამებში. <p><i>არ შემუშავებულა საკუთარი რესურსით ვიდეო გაკვეთილები/მედია-ტექნოლოგიებით სასწავლო</i></p>	შესაბამისი საკუთარი ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსის არ ქრსებობა. ბაზარზე არსებული სერვისით სარგებლობისთვის მაღალი ფასი.	შესამღებელია სასწავლო მასალის მომზადებისთვის გამოყენებული იქნეს ამ მიმართულებით პროფესიულ განათლების რესურსები, რომლებითვისაც აქტივობა იქნება სასწავლო პროექტი/ პროფესიული პრაქტიკა

		<i>მასალა</i>			
<p>1.2. ხარისხიანი პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების უზრუნველყოფა</p>	<p>მომსახურების ხარისხის განვითარების სისტემის შექმნა, მომხმარებლების ნაკადის სავარაუდო ზრდის გათვალისწინებით მიმდინარე საქმიანობის ეფექტური მართვის მექანიზმების შემუშავება</p>	<p>2014-2020</p>	<p>1. სისტემატურად ხორციელდებოდა მომხმარებლის კვლევა, უფრო ინტერვიუება, რადგან გამოკითხვის ანკეტა-კითხვარები უმრავლეს შემთხვევაში ფორმალურად ივსებოდა რესპოდენტების მიმერ და იძლეოდა ადმინისტრაციისთვის გაუმჯობესებისთვის ღირებულ ინფორმაციას, უფრო მოსახერხებელი ინსტრუმენტი იყო საუბრები სტუდენტებთან/მსმენელებთან. შემუშავდა და განხორციელდა ასევე ელექტრონული გამოკითხვა კურსდამთავრებულების. გამოკითხვის შესაძლებლობაა ასევე სოციალურ ქსელშიც, აკადემიის გვერდზე. მომხმარებელთა კმაყოფილების დონე მაღალია. უარყოფი შეფასებია ან მომხმარებლის რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი აქტივობები.</p> <p>2. საანგარიშო პერიოდში აღინიშნება მომხმარებლის ზრდის დინამიკა, მათ შორის ავტორიზებულ პროგრამაზე.</p> <p>3. შემუშავდა სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები-გამოკითხვის ანკეტები, შეფასების ჩეკ-ლისტები,რომელთა საფუძველზეც ხორციელდებოდა პრევენციული/მაკორექტირებელი ღონისძიებები. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აკადემიის სტუდია სალონი შემომწმდა ასე გარე მაკონტროლებლის მიერ.</p>		

<p>1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება</p>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები</p>	<p>2014 2016 2018</p>	<ol style="list-style-type: none"> აკადემიამ 2015 წელს დაიწყო ვიზაჟისტის პროგრამის დანერგვა, რაც შეწყდა. აკადემიის პერსონალი ჩართული იყო ოპტიმიზაციის პროცესში და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და პროგრამის ფასილიტატორებს მიაწოდა საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები. აკადემიამ შეიმუშავა სალონის ადმინისტრატორის სასერტიფიკატო კურსი შეიმუშავა 3 პროგრამა და ჩაერთო პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში; შეიმუშავა და განახორციელა სტილისტის შრომის გაკვეთილების პროექტი/პროგრამა 2 საჯარო სკოლაში განთლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. 	<p>არა ეფექტური პროგრამის ხანგრძლივობის ვადა და საათების/კრედიტების გადაწელება ჩარჩო პროგრამაში. პროგრამების ოპტიმიზაციის ხანგრძლივი პერიოდი.</p>	
<p>1.4. უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა და უზრუნველყოფა</p>	<p>თანამედროვე ბაზარზე არსებული ტექნოლოგიების, ინოვაციების გაცნობითი საემინარების სპეციალისტებისათვის შეთავაზება; სტილისტთა ასოციაციის შექმნა.</p>	<p>2015- 2020</p>	<ol style="list-style-type: none"> ნატალი ჯგუფთან ერთად სისტემატურად იგეგმება და ხორციელდება სემინარები, მასტერ-კლასები უცხოელი სპეციალისტების მიერ (სანაგარიშო პერიოდში ჩატარდა 6 მასტერ-კლასი). დატრენინგდა პერსონალი (იხ. კომენტარი ზემოთ); პროფესიული განათლების მასწავლებელი (გ. ხიდროვი) გაგზავნილი იქნა გ. კოტის სკოლაში კვალიფიკაციის ამაღლების კურსზე. მოწყო მასტერ-კლასი საქორწინო ვარცხნილობები. მასტერკლასს უძღვებოდა ე. ვართანიანი <p>2017 წლის შემოდგომაზე ჩატარდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კონკურსი „საუკეთესო ვარცხნილობა“.</p> <p>5. <u>არ შექმნილა სტილისტთა ასოციაცია.</u></p> <p>2018 წელს აკადემიას კომუნიკაცია სქონდა CMC წარმომადგენლებთან ასოციაციაში გაწევრიანებისა და საქართველოს ასოციაციის შექმნის თაობაზე. ამ დრომდე პროექტი არ განხორციელებულა.</p>	<p>სპეციალისტების დაბალი მოტივაცია, მათ შორის კონკურსებში მონაწილეობის.</p>	<p>დარგის და კონკურსების პოპულარიზაცია; კონკურსებში მონაწილეობის კულტურის დანერგვის აქტივობების შემუშავება; მედია რესურსების გამოყენება. CMC - კომუნიკაციის განახლება დაერთობლივი პროექტების განხორციელება.</p>
<p>1.5. საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა</p>	<p>აკადემიის გრიფით გამოცემული ქართულენოვანი</p>	<p>2016- 2020</p>	<ol style="list-style-type: none"> აკადემიის თანამონაწილეობის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან ერთად შემუშავებული იქნა ორი სახელმძღვანელო: 		

შესაბამისი სასწავლო-მეთოდური მასალის შემუშავება	სასწავლო-მეთოდური მასალები, სახელმძღვანელოები		„საპარიკმახერო საქმე“ და „ვიზაჟისტის სახელმძღვანელო“		
2. მომზადდა სასწავლო რესურსი პრეზენტაციისა და ელ-სახელმძღვანელოს სახით: მანიკური, წვერ-ულვაში, თავის დაბანა, შეჭრის თანამედროვე ტექნოლოგიები, კოლორისტიკა, კანის ანატომია, საპარიკმახერო საქმის ისტორია.					
1.6. სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განვითარების უზრუნველყოფა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა	სასწავლო ინვენტარის შექმნა, განახლება, გამრავალფეროვნება; აკადემიის ინფრასტრუქტურის დახვეწა-განვითარება	2015-2020	1. გაკეთდა სააუდიტორიო და სასწავლო-სტუდია სალონის კოსმეტიკური რემონტი 2. სანგარიშო პერიოდში პრაქტიკის ობიექტებად დაემატა ნატალი გრუპის „ველნეს-ლაბი“, „ანტი ეიჯ კლინიკა“. 3. საანგარიშ პერიოდში დამატებული იქნა სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ინვენტარი (თმის საშრობები, საკრეჭი მანქანები, მაკრატლები, სავარცხლი ნაკრებები) 4. მიდინარეობს მოლაპარაკება აკადემიის ახალ ფართში გადასვლასთან დაკავშირებით.		
2. აქტიური მონაწილეობა ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული განათლების მაზარზე					
2.1. სასერთიფიკატო და კვალიფიკაციის ამალეების კურსებისა და სატრენინგო სისტემის განვითარება/მასტერ-კლასების ორგანიზება	განხორციელებული კურსების, მასტერ-კლასების დოკუმენტაცია/მასალები	2014-2020	იხ. 3, 1.4.	შემუშავდეს [რსონალის კვალიფიკაციის ამალეების გეგმა. შემუშავდესმომზადება-გადამზადების ავტორიზებული პროგრამები	
2.2. კვალიფიციური უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა სასწავლო პროცესის ხარისხის ამალეებისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად	განხორციელებული ღონისძიებების რეზულტატი, მისი ამსახველი მასალა/დოკუმენტაცია	2015-2020	იხ. 3, 1.4. და 2.1.კომენტარი		
2.3. აკადემიის, რეგიონული და საერთაშორისო პროფესიული კონკურსების,	განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა/დოკუმენტაცია	2016 - 2020	1. 2015 წლის World Skills Georgia-სთვის აკადემიამ მომზადა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სტუდენტები. 2. დააფინანსა 2015 წლის World Skills Georgia -ს საპარიკმახერო საქმის ეროვნულ ჩემპიონატი.		

ჩემპიონატების დანერგვა			<p>3. დააფინანსა 2015 წლის World Skills Georgia -ს საპარიკმახერო საქმის ეროვნულ ჩემპიონატის გამარჯვებული და ექსპერტების ვიზიტი სან-პაულოში.</p> <p>4. 2017 წელს აკადემიამ დააფინანსა და უმასპინძლა World Skills Georgia-ს საპარიკმახერო საქმის ეროვნულ ჩემპიონატს.</p>		
2.4. ერთობლივი სწავლებისა და პროფესიული წვრთნის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი ღონისძიებების დანერგვა-დაგეგმვა	განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა/დოკუმენტაცია	2016-2020	<p>5. 2015 წლის World Skills Georgia-სთვის აკადემიამ მომზადა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სტუდენტები.</p> <p>6. 2017 წელს აკადემიამ დააფინანსა და უმასპინძლა World Skills Georgia-ს საპარიკმახერო საქმის ეროვნულ ჩემპიონატს.</p>		
<p>3. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება - პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობების, შემოქმედებითი, სოციალური, ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალის განვითარება-რეალიზების უზრუნველყოფა</p>					
3.1. ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობის სპეციალური პროგრამების დანერგვის უზრუნველყოფა	ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა/დებულება	2017	<p><u>სპეციალური პროგრამები არ შემუშავებულა.</u></p> <p>თუმცა აკადემიის სერვისებით მოსარგებლებისთვის, მე-2 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევისას სარგებლობენ სპეციალური შეთავაზებითა და ფასით.</p>		
3.2. პროფესიული სტუდენტების სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში ჩართვა	განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა/დოკუმენტაცია	2017-2020	1. World Skills Georgia 2017 მონაწილეობა მიიღო 3 კუსრდამთავრებულმა		
3.3. საგანმანათლებლო სივრცის მიღმა სტუდენტების განვითარება	განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა/დოკუმენტაცია	2015-2020	<p>1. მოეწყო ექსკურსიები (ყაზბეგი, კახეთი, სამცხე (რაზათი, ზარზმა, საფარა) ბორჯომი, ძველი თბილისი).</p> <p>2. სტუდენტების მონაწილეობით სისტემატურად ხორციელდება საქვემოქმედო აქციები - მომსახურების შეთავაზება მოხუცებულთა და ბავშვთა სახლებისათვის. ასევე ფერისცვალების</p>		

			<p>მონასტრის ჰოსპისის პაციენტებისა და შინ მოვლის პაციენტებთან.</p> <p>3. სტუდენტების მონაწილეობით სისტემატურად ხპრციელდება Natali Group თან ერთად სხვადასხვა სატელევიზიო და მოდის ინდისტრიის პროექტებისა და ტელე-შოუების მომსახურება .</p> <p>4. საქართველოს გაერთიანებულ პროფკავშირებთან ერთად ჩართულები იყვნენ ამერიკელი ტრენერების მიერ განხორციელებულ ვორკ-შოპში თემაზე - გენდერული თანასწორობა</p>		
3.4. სტუდენტთა საკონსულტაციო სამსახურისა და დასაქმების უზრუნველყოფა	სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრის შექმნა; დასაქმების სერვისის დაწერვა	2016 2017	<p>1. აკადემიაში დასაქმება უზრუნველყოფილია Natali Group დისტრიბუციის სამსახურის მიერ. კურ დამთავრებულები ნაწილდებიან დისტრიბუციის ქსელის სილომაზის მომსახურების ობიექტებში. დასაქმების მაჩვენებელი სტატისტიკის მიხედვით საშუალოდ 80%-ია.</p> <p>2. საკუთარი კურსდამთავრებულებისთვის, მეწარმეობის წამოწყებისას, მოქმედებს სპეციალური სადისტრიბუციო ფასები და სერვისები.</p> <p><i>არ შექმნილა სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრი;</i></p>	სერვისისა და საკონსულტაციო ცენტრის სტრუქტურის მიხედვით არსებობს . დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 80%-ია.	
4. აკადემიის მისიის შესრულებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა					
4.1. ეროვნული ხარისხის სტანდარტების უზრუნველყოფა	ავტორიზაციის მოპოვება	2014	<p>1. აკადემიამ ავტორიზაცია მოიპოვა 2015 წლის 4 თებერვალს (გადაწყვეტილება N3);</p> <p>2. 2017 წელს აკადემიაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ორგანიზებით განხორციელდა საქმიანობისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი.</p> <p>3. აკადემიის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელდა ავტორიზაციის ახალ სტანდარტთან შესაბამისობის ანალიზი, რის საფუძველზეც შედგა და დაისახა სამოქმედო გეგმების პროექტები.</p> <p>4. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აკადემიის სტუდია-სალონი შემომწმდა გარე მაკონტროლებლის (ჯანდაცვის სამინისტროს მიერ) მიერ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მომსახურებისა და სანიტარული ნორმების ტექნიკურ რეგლამენტის მოთხოვნების დაცვასთან მიმართებით.</p> <p>5. აღნიშნული საკითხების შემოწმების მიზნით აკადემიის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია ასევე შეფასების ანკეტა-კითხვარი,</p>		

			რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა სალონის შემოწმება .		
4.2. ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვება	საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა, აკადემიის ISO სერტიფიცირება	2017	მიმდინარეობს კონსულტაცია STR კონსალტინგსა და EBRD-ის წარმომადგენლებთან ხარისხის სისტემების დანერგვასა და დაფინანსების პროექტის განხორციელების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.		
4.3. საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარების მიზნებისა და საჭირო ღირებულებების ანალიზი, მონიტორინგი/ სტრატეგიის დასახვა	ანალიზის/მონიტორინგის ანგარიშები/გეგმები	2015-2019	მუდმივად ხორციელდება გეგმების შესრულების ანალიზის/მონიტორინგი და ანგარიშგება მენეჯმენტთან. დეტალური ანალიზი ასახულია 2017 წლის ანგარიშში.		
4.4. პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;	პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა სპეციალობის პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდული სწავლების ორგანიზება კვალიფიციური უცხოელი სპეციალისტების მიერ სწავლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია პერსონალის შიდა ატესტაციის მექანიზმებისა და პროცედურის დანერგვა-შემუშავება	2017-2020 2018 2017	სწავლება არ აქვს სისტემატიზებული ხასიათი. განხორციელდა ტრენინგი პროფესიულ განათლებაში სწავლებისა და შეფასების მეთოდები. პერსონალმა მონწილეობა მიიღო ნატალი გრუპის, სკკა-ის, საქართველოს პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. შემუშავდა პერსონალის საქმიანობის კითვარები. განხორციელდა მეცადინეობაზე დასწრება. გაკეთა განხორციელებული მეცადინეობების ანალიზი. იხ. ასევე კომენტარი 2.2. არ შენუშავებულა ატესტაციის დებულება; ატესტაცია არ განხორციელებულა	არ არის შემუშავებული პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა,ატესტაციის დებულება;	

NATALI ACADEMY
სტარტეგიული გეგმის ანალოზი

	ატესტაციის დებულება; ატესტაციის განხორციელების დოკუმენტაცია/მას ალები	2018			
4.5. პერსონალის მოტივაციის სისტემის შექმნა	მოტივაციის მექანიზმების შემუშავება/დანერ გვა; სოციალური პროექტები	2016 2017- 2020	1. აკადემიის პერსონალი სარგებლობს 50%-იანი ფასდაკლებით მატალი გრუპის ობიექტების მიერ შეთავაზებული სერვისებით. 2. ნატალი გრუპის მიერ ორგანიზებულ მასტერ-კლასებსა და სემინარებზე, აკადემიის პერსონალი და სტუდენტები სარგებლობენ შედევათებით 3. აკადემიის მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და ექსტრაკურიკულურ პროექტებში აკადემიის პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობენ აკადემიის/ნატალი გრუპის დაფინანსებით		
4.6. აკადემიის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, განვითარება	აკადემიის ახალი შენობით უზრუნველყოფა	2020	საანგარიშო პერიოდის მიმდინარე 2019 წელს აკადემიამ იჯარით აიღო 1020 მ ² ფართობის შენობა საგანმანათლებლო მიზნებისთვის.		

დადგენილი შეფასების ქულებითა და კრიტერიუმებით სტარტეგიული გეგმის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად (56 ქულა).

მომდევნო საანგარიშო პერიოდის მიზანი: გრადაციის შენარჩუნება გაზრდილი ქულათა მაჩვენებლით ან შემდეგი გრადაციის საფეხურზე გადასვლა.